განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

მასობრივი კომუნიკაცია, ბაკალავრიატი

შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი „ალტერბრიჯი“

შეფასების თარიღები: 11 და 14 თებერვალი 2022

დასკვნის წარდგენის თარიღი: 13 აპრილი 2022

თბილისი
2022

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი ,,ალტერბრიჯი“
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	405284473
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	მასობრივი კომუნიკაცია Mass Communication
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრი Bachelor of Mass Communication
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა, 0321 Journalism and Reporting
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნატალია თვალჭრელიძე, სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო შოშიტაშვილი, შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მალხაზ გაგუა, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ქიმერიძე, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლანა ბოკუჩავა, ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტმა „ალტერბრიჯი“ სააკრედიტაციოდ წარმოადგინა ახალი საბაკალავრო პროგრამა „მასობრივი კომუნიკაცია“.

შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტმა „ალტერბრიჯი“ ახლადშექმნილი უმაღლესი სასწავლო დაწესებულებაა, რომელიც რამდენიმე საგანმანათლებლო პროგრამას უკვე ახორციელებს.

სასწავლო უნივერსიტეტის მიერ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამაში მოცემული ინფორმაციით, პროგრამა მიზნად ისახავს კონკურენტუნარიანი კადრების შექმნას მასობრივი კომუნიკაციის მიმართულებით. ასევე, პროგრამაში მოცემული ინფორმაციის მიხედვით, დარგში ახალი პროგრამის შემუშავება ყველთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი წამოწყებაა, ვინაიდან, სწორედ განხორციელების შემთხვევაში, იგი დამატებით წვლილს შეიტანს როგორც სფეროს განვითარებაში, ისე ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების განვითარება-განმტკიცების საქმეში.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთშორისო სასწავლო უნივერსიტეტის „ალტერბრიჯი“ მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება განხორციელდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების (MES 3 22 0000038751, 18.01/2022, ცვლილება №11981, 07.02.2022) საფუძველზე, მიმდინარე წლის 11 და 14 თებერვალს.

COVID-19-ის გავრცელების პრევენციის მიზნით, შეფასება უმეტესწილად განხორციელდა დისტანციურად, ZOOM პლატფორმის მეშვეობით (14 თებერვალი 2022). შეხვედრები შედგა

სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, რომელნიც აგრეთვე ჩართულნი არიან პროგრამაში შემავალი პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში. შეხვედრა ასევე გაიმართა მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან. ხოლო მიმდინარე წლის 11 თებერვალს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა დაათვალიერეს შპს მართვის და კომუნიკაციის საერთაშრისო სასწავლო უნივერსიტეტის „ალტერბრიჯი“ მატერიალურ-ტექნიური ბაზა, კერძოდ სასწავლო უნივერსიტეტის შენობა - აუდიტორიები, რექტორატისა და ადმინისტრაციის ოფისები, შეხვედრების სივრცე, მულტიმედია ცენტრი, რომელშიც გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული ნაწილის განხორციელება და ბიბლიოთეკა.

ვიზიტის მსვლელობისას ექსპერტთა ჯგუფმა სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან ერთად, აგრეთვე, მიმოიხილეს უსდ-ს სხვა სასწავლო რესურსები და შესაძლებლობები, გაეცნენ ბიბლიოთეკის საძებო სისტემას და სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებულ ლიტერატურას: წიგნებს, ელექტრონულად დაცულ სახელმძღვანელოებსა და რიდერებს.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია: თვითშეფასების ანგარიში, საგანმანათლებლო პროგრამა და თანდართული დოკუმენტაცია, აგრეთვე, ვიზიტის განმავლობაში ჯგუფის მოთხოვნის საფუძველზე წარმოდგენილი დამატებითი მტკიცებულებები, ინფორმაცია და დოკუმენტაცია. ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა მოკლედ შეაჯმა დოკუმენტების შესწავლის და ვიზიტის დროს შემდგარი ინტერვიუებისას მიღებულ იქნა ინფორმაცია, რის შემდეგ ჯგუფის თავმჯდომარემ სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლებს მოკლედ გააცნო ჯგუფის ძირითადი მიგნებები.

ვიზიტი წარიმართა მშვიდ, პროფესიულ და საქმიან გარემოში. უზრუნველყოფილი იყო ყველა პირობა იმისათვის, რომ ექსპერტთა ჯგუფს მიეღო სრული ინფორმაცია პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის „ალტერბრიჯი“ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა შემდეგნაირად:

- სტანდარტი 1 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 2 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 3 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 4 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 5 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება/არგაზიარების შესახებ**

2022 წლის 22 მარტს ექსპერტთა ჯგუფმა წარადგინა დასკვნის პროექტი, რომლის საფუძველზეც შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტმა „ალტერბრიჯი“ გამოაგზავნა თავისი არგუმენტირებული პოზიცია, სადაც მოცემულია უსდ-ს

კომენტარები როგორც ზოგადად აკრედიტაციის პროცესის შესახებ, ისე ქვემოთჩამოთვლილ რეკომენდაციებსა და რჩევებზე.

დოკუმენტის მიღების შემდეგ ექსპერტთა ჯგუფმა კიდევ ერთხელ იმსჯელა და გადახედა ქვემოთმოცემულ რეკომენდაციებს და რჩევებს და თვლის, რომ ისინი ცალსახად გააუმჯობესებს პროგრამის განვითარების შესაძლებლობებს.

უსდ-სთვის მიწოდებულ დასკვნის პროექტში ზოგად ინფორმაციასთან ერთად, ექსპერტთა ჯგუფმა გააჟღერა პროგრამის წინაისტორია მომიჯნავე პროგრამის აკრედიტაციის პროცესის შესახებ 2020 წელს. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნდა და ახლაც მიაჩნია, რომ ეს ინფორმაცია საინტრესო იქნებოდა ახალადშექმნილი ინსტიტუციის განვითარების ილუსტრაციისათვის. თუმცა, ვინაიდან ამ ფაქტს აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა დასწესებულების მხრიდან, დაძაბულობისა და აკადემიური სივრცისთვის უხერხული მსჯელობის თავიდან ასაცილებლად, ექსპერტთა ჯგუფმა ეს ჩანაწერი საბოლოო დასკვნიდან ამოიღო.

აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ ექსპერთა ჯგუფი არ იზიარებს უსდ-ს მიერ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოდგენილ მოსაზრებებსა და განმარტებებს ქვემოთჩამოთვლილი რეკომენდაციებისა და რჩევების შესახებ. ამასთანავე, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ უსდ-ს ნამდვილად ჰყავს საკმარისად კვალიფიციური პერსონალი იმისთვის, რომ არამარტო შექმნას ხარისხიანი სასწავლო პროგრამა, არამედ წარმოდგენილ პროგრამაში არსებული ხარვეზები მარტივად მოაგვაროს მოკლე ვადაში, თუმცა ამისათვის აუცილებლად უნდა გამოიკვეთს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მზაობა რეკომენდაციების გაზიარებისათვის, რაც არგუმენტირებულ პოზიციაში ნაკლებად იქნა გაჟღერებული.

- **რეკომენდაციები:**

1. რეკომენდებულია, პროგრამის მიზნები შესაბამისობაში მოვიდეს საგანმანათლებლო სივრცისა და დამსაქმებელთა მოთხოვნებთან;
2. რეკომენდებულია, დამსაქმებლები უფრო მეტად იყვნენ ჩართულები პროგრამის მიზნების შემუშავებაში;
3. პროგრამის ინტერნაციონალიზაციისათვის, რეკომენდებულია ორგანიზაციები შეირჩეს მიზნობრივად;
4. რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს სფეროს სპეციფიკასთან და მკაფიოდ გაიმიჯნოს საზოგადოებასთან ურთიერთობის და სხვა მომიჯნავე სფეროებისთვის სპეციფიკური მახასიათებლებისგან; განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, სწავლის შედეგები დაიხვეწოს და გაღრმავდეს ცოდნისა და გაცნობიერების ნაწილში;
5. რეკომენდებულია, სწავლის შედეგები უკეთ მოერგოს შრომის ბაზრის მოთხოვნებს;
6. რეკომენდებულია ან შეიცვალოს მიღების წინაპირობება და დარჩეს მხოლოდ ინგლისური ენის (და არა ზოგადად უცხო ენის) გამოცდა, ან შეიცვალოს უცხო ენის სწავლებისადმი მიდგომა, ან დაკორექტირდეს სწავლის შედეგი;
7. რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამის სხვადასხვა დოკუმენტებში მოცემული კრედიტების გადანაწილება მოვიდეს ერთმანეთთან თანხვედრაში;
8. რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული კურსები უკეთ მოერგოს მისანიჭებელი კვალიფიკაციის სპეციფიკას;

9. სტუდენტებისთვის მეტი აკადემიური თავისუფლების უზრუნველსაყოფად, რეკომენდირებულია შეიცვალოს საბაკალავრო თემისა და ხელმძღვანელის შერჩევის წესი;
10. რეკომენდებულია შეიქნას ამ პროგრამისათვის საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსი, რომელიც განსაზღვრავს სწავლის შედეგებს, შეფასების კრიტერიუმებს და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს, რაც არ განისაზღვრება საბაკალავრო ნაშრომის ინსტრუქციით;
11. რეკომენდებულია პროგრამას დაემატოს სასწავლო კურსები თავისუფალ კომპონენტში, რათა უზრუნველყოფილი იყოს არჩევითობა და არჩევითი კურსების შეთავაზება მოხდეს უფრო მოქნილი ფორმატით;
12. რეკომენდებულია კურსის შედეგების მიხედვით დაკორექტირდეს სასწავლო კურსები: "ტელეჟურნალისტიკა" და "რადიოჟურნალისტიკა". ასევე სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილი იყოს სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალების ხელმისაწვდომობა;
13. რეკომენდებულია პროგრამაში მეტი აქცენტით იყოს წარმოდგენილი და შესაბამისად სწავლის შედეგებში ასახული პასუხისმგებლობა და ავტონომიურობის კომპეტენცია;
14. რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსების: "მასკომუნიკაციის თეორიები" და "კინოდოკუმენტალისტიკა" შეფასების კომპონენტები;
15. რეკომენდებულია დაკორექტირდეს საბაკალავრო ნაშრომის ინსტრუქციის წესი ისე, რომ სრულფასოვნად აისახოს როგორც კვლევითი, ისე პრაქტიკული ხასიათის პროექტის მომზადება და დაცვა;
16. რეკომენდებულია, მედია ცენტრი მოეწყოს სხვა, უფრო დიდ სივრცეში და აღიჭურვოს იმგვარად, რომ სტუდენტებმა რეალურად შეძლონ იმ პროფესიული- პრაქტიკული უნარების გამომუშავებას, რაც აუცილებლად დასჭირდებათ მედიაში დასაქმებისთვის;
17. რეკომენდებულია სათანადოდ აღიჭურვოს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი;
18. პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, რეკომედებულია ბიუჯეტი გაიწეროს რეალური შემოსავლების გათვალისწინებით;
19. რეკომენდებულია, პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის პროცესში ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ერთად ჩართული იყოს უშუალოდ პროგრამის განმახორციელებელი და დაინტერესებული პირები (ვინც მომავალში უშუალოდ იქნება პროგრამის განხორციელების პროცესებში ჩართული), რომელთა ანალიზს დაეფუძნება საგანმანათლებლო პროგრამის როგორც ანგარიშის დესკრიფციული ნარატივი და მისი არგუმენტაციული ნაწილი, ისე ძლიერი, გასაუმჯობესებელი მხარეები და გაუმჯობესებაზე ორიენტირებული აქტივობები;
20. რეკომენდებულია, წარდგენილ იქნას ინსტიტუციაში მომზადებული საგანმანათლებლო პროგრამების სრული პაკეტის გარე ექსპერტირების, ინტერნაციონალიზაციისა და სრულყოფის მიზნით ქვეყნის ფარგლებში მსგავსი გამოცდილების მქონე აკადემიურ სივრცეში, ან უცხოეთში, საუკეთესო პრაქტიკის გასაზიარებლად;
21. რეკომენდებულია უსდ-ს შემუშავებული ჰქონდეს მონიტორინგის პროცესის კონკრეტული მეთოდოლოგია, პროცედურები და გაწერილი პროცესები, რათა მიზანმიმართულად განხორციელდეს საგანმანათლებლო პროგრამის გაუმჯობესება და ჩამოყალიბდეს განვითარების ახალი პროცესები.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. სასურველია, თვითშეფასების ანგარიში მეტად იყოს მიმართული ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებისაკენ:
2. სასურველია, მოხდეს საგანმანათლებლო ბაზარზე არსებული პროგრამების დეტალური ანალიზი, რაც დაეხმარება უსდ-ს უკეთ განსაზღვროს პრორიტეტები და კონკურენტუნარიანი პროგრამა შექმნას;
3. სასურველი პროგრამა დაიყოს მოდულებად, რათა უკეთ იქნეს უზრუნველყოფილი არჩევითობის პრინციპი და სიცხადე პროგრამის სტრუქტურაში;
4. სასურველია, საკითხავი ლიტერატურის გამრავალფეროვნება, რათა არ მოხდეს კურსებს შორის გადაფარვა;
5. სასურველია, ისეთ სასწავლო კურსებში, რომელთა შედეგებშიც მოიაზრება სტუდენტის პრაქტიკული უნარების განვითარება, შუალედური და დასკვნითი შეფასებების კომპონენტებში უმეტესწილად აქცენტი კეთდებოდეს პრაქტიკული დავალებებისა და პროექტების შესრულებაზე;
6. სასურველია, სასწავლო კურსში "მულტიმედია ტექნოლოგიები" გაჩნდეს პრაქტიკული კომპონენტი;
7. სასურველია, არჩევით სასწავლო კურსში „საარჩევნო პროცესის საინფორმაციო უზრუნველყოფა“ თეორიული საკითხების პარალელურად პრაქტიკულ დონეზე ისწავლებოდეს არჩევნებისა და მასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება;
8. სასურველია, სასწავლო კურსების სილაბუსებში სალექციო მასალებში სავალდებულოდ და დამატებით წასაკითხი მასალა მიეთითოს გვერდებისა ან თავების მიხედვით;
9. სასურველია, სასწავლო კურსებში, იმ შემთხვევებში, სადაც ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე კომპეტენტური ავტორების მიერ მომზადებული სახელმძღვანელოები, მოხდეს მათი დანერგვა;
10. სასურველია საწავლო კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე გადაიხედოს და გაიზარდოს შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური ზღვრები;
11. აქტიურად მომზადდეს და დაიგეგმოს ტრეინინგები სხვადასხვა მიმართულებით აკადემიური და მოწვეული, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისთვის ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით აქტუალური თემებისა და საკითხების გაზიარების, ხარისხის კულტურის გაძლიერების მიზნით როგორც განათლების ქართველი, ისე უცხოელი ექსპერტების ჩართულობით;
12. სასურველია კვლევების ანალიზის დოკუმენტს გარდა ვიზუალური მონაცემების, რჩევებისა და რეკომენდაციის რუბრიკის წარმოდგენისა დაერთოს ცალკეული თემის ანალიზური ნაწილიც.
13. სასურველია დამსაქმებელთა ჯგუფის ფოკუსირება დარგზე და მათი პერმანენტული ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასების პროცესში.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთშორისო სასწავლო უნივერსიტეტის „ალტერბრიჯი“ მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა, მასში მოცემული ინფორმაციის შესაბამისად, შექმნილია, რათა საქართველოს მედიისა და კომუნიკაციის სფეროს შესძინოს თეორიული, პრაქტიული და ტრანსფერული უნარ-ჩვევებით აღჭურვილი პროფესიონალები. პროგრამაში გაწერილი მიზნები თანხვედრაშია სასწავლო უნივერსიტეტის მისიასთან, რომელიც შემდეგნაირადაა ფორმულირებული: „სასწავლო უნივერსიტეტის მისიაა მისცეს ადამიანებს პიროვნული და პროფესიული თვითრეალიზების ახალი შესაძლებლობები, რისთვისაც ქმნის კვლევისა და ცოდნის მიღების ხელმისაწვდომ პირობებს, აყალიბებს საერთაშორისო პლატფორმას განათლებისა და შრომის ბაზრის ურთიერთქმედებისთვის, ხელს უწყობს ქვეყანაში საზოგადოებრივი ურთიერთობების გაუმჯობესებას“. ○ პროგრამის მიზნები ნათლადაა ჩამოყალიბებული, მიღწევადია და ასახავს თუ რა კომპეტენციის მქონე პროფესიონალის მომზადებას ემსახურება საბაკალავრო პროგრამა, თუმცა, ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ უსდ-ს მიერ წარმდგენილ თვითშეფასების ანგარიშში არ არის განმარტებული თუ როგორ ახდენს სასწავლო უნივერსიტეტი ახალი პროგრამის პოზიციონირებას სხვა უმაღლესი სასწავლებლების მასობრივი კომუნიკაციის განვითარებაზე გათვლილი საგანმანათლებლო პროგრამების ფონზე, რომლებითაც საკმაოდ განებივრებულია საქართველოს საგანმანათლებლო სივრცე. წარმოდგენილ პროგრამას თან ერთვის „ალტერბრჯის კვლევის დოკუმენტი: საქართველოში უმაღლესი განათლების ხარისხის შესაბამისობა ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრის

მოთხოვნებთან“, რომელიც გვთავაზობს ერთის მხრივ სტუდენტების კმაყოფილების კვლევას საქართველოში, ხოლო მეორეს მხრივ სწავლის ინტერნაციონალიზაციის პროცესების მიმოხილვასა და შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზს, რომელზე დაყრდნობითაც მოხდა პროგრამის შემუშავება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კვლევა ზოგადი ხასიათისაა და არ ახდენს მასობრივი კომუნიკაციის სფეროს სპეციფიკური საჭიროებების შესწავლას. უსდ-ში ვიზიტისას ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ საგანმანათლებლო პროგრამის შეიქმნის საჭიროება იმითაა განპირობებული, რომ დღეს საქართველოში არსებული საბაკალავრო პროგრამები ვერ აკმაყოფილებენ დამსაქმებლების მოთხოვნებს. წარმოდგენილი „შრომისა და განათლების ბაზრის კვლევაც“ განმარტავს, რომ დამსაქმებლები კადრების შერჩევისას ძირითად პრობლემად აპლიკანტებში სათანადო ცოდნის არარსებობას ასახელებენ. ამასთანავე, კვლევის ნაწილი, რომელიც ეხება ალტერბრიჯის პროგრამის შესაბამისობას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან ვერ განმარტავს, კონკრეტულად რა სიახლეს შეიტანს შემოთავაზებული პროგრამა საგანმანათლებლო სივრცეში და რითი განსხვავდება იგი სხვა მსგავსი პროგრამებისაგან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამას თან ახახლავს „მასობრივი კომუნიკაციის ბენჩმარკინგი“, რომელიც მოიცავს მცირე ინფორმაციას საგანმანათლებლო სფეროში უკვე არსებული საბაკალავრო პროგრამების შესახებ. თუმცა არც ეს დოკუმენტი და არც შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზის დოკუმენტი გვთავაზობს ანალიზს ამ პროგრამების ნაკლოვანებების ან/და ძლიერი მხარეების შესახებ და რა სიახლეს განსხვავდება სასწავლო უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებული ახალი პროგრამა უკვე არსებული პროგრამების ფონზე. აქედან გამომდინარე, რთულია იმაზე მსჯელობა, თუ რამდენად კონკურენტუნარიანი იქნება მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრმა და, რაც მთავარია, რამდენად შეძლებს შრომის ბაზარზე არსებული გამოწვევების დაძლევას.

- აქვე უნდა აღნიშნოს, რომ აკრედიტაციის ჯგუფის ვიზიტის დროს, დამსაქმებლებთან შეხვედრისას გაირკვა, რომ ისინი, თუ არ ჩავთვლით ბაზრის კვლევისთვის ჩატარებულ გამოკითხვებს, ნაკლებად იყვნენ ჩართულები პროგრამის შემუშავებაში. შეხვედრის დროს გაირკვა, რომ დამსაქმებლების მოლოდინი უფრო საზოგადოებასთან ურთიერთობის მაღალკვალიფიციურ კადრებს უკავშირდება, ვიდრე მასობრივი კომუნიკაციის სპეციალისტს.

- სასწავლო უნივერსიტეტს წამოწყებული აქვს მუშაობა ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, რაც მისასალმებელია,წარმოდგენილ დოკუმენტაციას თან ერთვის ზოგადი ხასიათის მემორანდუმები სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და უნივერსიტეტებთან (როგორიცაა, მაგალითად, „English Book Education", ააიპ „აისეკ საქართველო", „Found Trends Creative Management", ლოჯის ჰუმანიტარული მეცნიერებებისა და ეკონომიკის უნივერსიტეტი, UNICEF საქართველო და The University of Economics and Human Sciences in Warsaw), რომელნიც ერთობლივი პროექტების შემუშავებასა და სტუდენტების გაცვლით პროგრამებზე თანამშრობლობას გულისხმობს, მაგრამ ნაკლებად ეხება კონკრეტულად ამ პროგრამას. საბაკალავრო პროგრამის წარმატებისთვის მნიშვნელოვანია მომავალი თანამშრომლობისთვის ორგანიზაციები მიზნობრივად შეირჩეს მასობრივი კომუნიკაციის მიმართულებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათებლო პროგრამა
- სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი www.alterbridge.edu.ge
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზის დოკუმენტი
- შრომისა და განათლების ბაზრის კვლევა
- მემორანდუმები
- ვიზიტისას სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან შეხვედრა
- ვიზიტისას დამსაქმებლებთან შეხვედრა

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, პროგრამის მიზნები შესაბამისობაში მოვიდეს საგანმანათლებლო სივრცისა და დამსაქმებელთა მოთხოვნებთან;
- რეკომენდებულია, დამსაქმებლები უფრო მეტად იყვნენ ჩართულები პროგრამის მიზნების შემუშავებაში;
- პროგრამის ინტერნაციონალიზაციისათვის, რეკომენდებულია ორგანიზაციები შეირჩეს მიზნობრივად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, თვითშეფასების ანგარიში მეტად იყოს მიმართული ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებისაკენ;
- სასურველია, მოხდეს საგანმანათლებლო ბაზარზე არსებული პროგრამების დეტალური ანალიზი, რაც დაეხმარება უსდ-ს უკეთ განსაზღვროს პრორიტეტები და კონკურენტუნარიანი პროგრამა შექმნას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები ნაწილობრივ შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან, თუმცა მეტ დახვეწასა და სიცხადეს მოითხოვს, რათა მკაფიოდ იქნეს გამოკვეთილი მასობრივი კომუნიკაციის დარგის სპეციფიკა. წარმოდგენილი სწავლის შედეგების ანალიზის საფუძველზე იქმნება შთაბეჭდილება, რომ პროგრამა თანაბრად ემსახურება როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტების, ისე ჟურნალისტებისა და მედია მენეჯერებისა და მკვლევარების მომზადებას, რაც ერთი პროგრამის ფარგლებში, რომელსაც მოდულები არ გააჩნია, შეუძლებელი ამოცანაა.

- აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცოდნისა და გაცნობიერების ნაწილში ჩამოყალიბებული სწავლის შედეგი - „აღწერს მასობრივი კომუნიკაციის თეორიებსა და კონცეფციებს, განსაზღვრავს კომუნიკაციის ფორმასა და შინაარსს“ არასაკმარისია საბაკალავრო დონისათვის. ამ ნაწილში სწავლის შედეგები გაღრმავებასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას მოითხოვს, რომელიც, სასწავლო უნივერსიტეტშივე ჩატარებული კვლევის თანახმად, სწორედ ცოდნის ნაკლებობას უჩივის ახალგაზრდა აპლიკანტებში.
- თვითშეფასების დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ პროგრამის სწავლის შედეგები შემუშავებულია მსგავსი და მომიჯნავე პროგრამების ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკების გათვალისწინებით. ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამას თან ახლავს მასობრივი კომუნიკაციის ბენჩმარკინგი, ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელი კონკრეტული პროგრამის გამოცდილება იქნა გაზიარებული, მოწოდებული არ არის. დაზუსტება აკრედიტაციის ჯგუფის ვიზიტისას პროგრამის ხელმძღვანელებთან და სასწავლო უნივერსიტეტთან შეხვედრაზეც ვერ მოხერხდა.
- სასწავლო უნივერსიტეტში ვიზიტისას დადგინდა, რომ სწავლის შედეგების შემუშავებაში აქტიურად იყვნენ ჩართულები როგორც აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რაც მათთან გასაუბრებამ დაადასტურა.
- პროგრამას თან ერთვის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების აღწერა, რომელიც გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. სწავლის შედეგების შეფასებაში ჩართულია აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, დამსაქმებლები და პარტნიორი ორგანიზაციები, რაც მათთან გასაუბრებით დასტურდება. შეფასების პროცესი იმგვარადაა დაგეგმილი, რომ მიღებული შედეგები დაეხმაროს სასწავლო უნივერსიტეტს პროგრამის სრულყოფასა და გაუმჯობესებაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მომიჯნავე პროგრამის სტუდენტები ადასტურებენ უკუკავშირის მიღებას იმის შესახებ, თუ რამდენად მიაღწიეს პროგრამის სწავლის შედეგებს.
- მიუხედავად ზემოთთქმულისა, სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალის მხრიდან მეტი ძალისხმევა და მობილიზებაა საჭირო, რომ სწავლის შედეგები უკეთ კონცენტრირებული იყოს სწავლის ძირითად სფეროზე და, შესაბამისად, უპასუხოს ბაზრის გამოწვევებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დოკუმენტი
- სწავლის შედეგების რუკა
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთან მოთხოვნების ანალიზის დოკუმენტი
- მასობრივი კომუნიკაციის ბენჩმარკინგი
- შეხვედრა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
- შეხვედრა მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს სფეროს სპეციფიკასთან და მკაფიოდ გაიმიჯნოს საზოგადოებასთან ურთიერთობის და სხვა მომიჯნავე სფეროებისთვის სპეციფიკური მახასიათებლებისგან; განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, სწავლის შედეგები დაიხვეწოს და გაღრმავდეს ცოდნისა და გაცნობიერების ნაწილში;
- რეკომენდებულია, სწავლის შედეგები უკეთ მოერგოს შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი და ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებული შედეგი შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა, მათემატიკა ან ისტორია. ○ აბიტურიენტს საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლების მოპოვება შეუძლია, აგრეთვე, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშეც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად. ○ მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლების მოპოვება შესაძლებელია, აგრეთვე, შიდა და გარე მობილობის წესის შესაბამისად, რასაც არეგულირებს მოქმედი კანონმდებლობა და სასწავლო უნივერსიტეტის შიდა რეგულაციები. ○ პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და მარტივად ხელმისაწვდომია სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით.

- აქვე აღსანიშნავია, რომ აბიტურიენტს ეძლევა არჩევანი, რომელ უცხო ენას ჩააბარებს ერთიანი ეროვნული გამოცდების დროს, რაც წინააღმდეგობაში მოდის ერთ-ერთ სწავლის შედეგთან, რომლის თანახმადაც კურსდამთავრებული „მსჯელობს არგუმენტირებულად, უკუკავშირზე დაყრდნობით აანალიზებს ინფორმაციას და წარადგენს ზეპირი/წერილობითი ფორმით ქართულ/ინგლისურ ენაზე“. ვინაიდან ინგლისური ენის თავისუფლად ფლობა პროგრამის სწავლის შედეგებშია ასახული და ვინაიდან პროგრამაზე სწავლების დროს სავალდებულო დარგობრივი ინგლისურის შესასწავლად მხოლოდ ერთი სემესტრია გათვალისწინებული, მიზანშეწონილია მისაღებ პროცედურებშივე გაიწეროს ინგლისური ენის ცოდნის შემოწმების მექანიზმი ერთიანი ეროვნული გამოცდის მეშვეობით, რათა მიღწეულ იქნას ზემოთხსნებული სწავლის შედეგი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში
- სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი www.alterbridge.edu.ge

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია ან შეიცვალოს მიღების წინაპირობება და დარჩეს მხოლოდ ინგლისური ენის (და არა ზოგადად უცხო ენის) გამოცდა, ან შეიცვალოს უცხო ენის სწავლებისადმი მიდგომა, ან დაკორექტირდეს სწავლის შედეგი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა შემუშავებულია სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურების“ შესაბამისად, რომელიც თან ერთვის თვითშეფასების ანგარიშს. ვიზიტის დროს ინტერვიუებისას დადგინდა, რომ პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე. მუშაობის საწყის ეტაპზევე განისაზღვრა პროგრამის შემუშავებაში ჩართული პირების მოვალეობები.
- პროგრამა შექმნილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად, თანხვედრაშია კრედიტების ტრანსფერის ევროპულ სისტემასთან. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს.
- ინფორმაცია პროგრამის შესახებ საჯაროდ ხელმისაწვდომია და განთავსებულია სასწავლო უნივერსიტეტის ვებ. გვერდზე.
- საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს, გათვლილია ოთხწლიან სწავლებაზე (8 სემესტრი) და შედგება შემდეგი ბლოკებისაგან/კომპონენტებისაგან:
  - ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები
  - ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები
  - თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები
  - თავისუფალი კომპონენტი

- ამასთან აღსანიშნავია, რომ კრედიტების გადანაწილება კომპონენტებს შორის გადასათვლელია ხელახლა, ვინაიდან საგანმანათლებლო პროგრამაში მოცემული კრედიტების რაოდნობა არ ემთხვევა სასწავლო გეგმასა და თვითშეფასების ანგარიშში მოყვანილ რაოდენობას. მაგ.: საგანმანათლებლო პროგრამაში თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსებისთვის გამოყოფილია 36 კრედიტი, ხოლო სასწავლო გეგმაში იგივე კომპონენტისათვის განსაზღვრულია 42 კრედიტი.
- პროგრამა მრავალფეროვანია და სტუდენტს სთავაზობს კურსებს როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობის, ისე კომუნიკაციისა და ჟურნალისტიკის სფეროდან. კურსები ლოგიკურადაა გადანაწილებული მარტივიდან რთულისაკენ და წინაპირობების საშუალებით უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის მქონე სტუდენტის მოხვედრას სწავლების ეტაპებზე.
- აქვე აღსანიშნავია, რომ მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან გამომდინარე (მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრი), გაუმართლებლად მიგვაჩნია სხვადასხვა მომიჯნავე სფეროებიდან ბევრი კურსების შეთავაზება. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის აზრით, პროგრამამ მეტი კონცენტრირება უნდა მოახდინოს მისანიჭებელ კვალიფიკაციაზე, რათა არ შეუქმნას აბიტურიენტსა და სტუდენტს მცდარი წარმოდგენა მათი მომავალი პროფესიის სპეციფიკის შესახებ. სტუდენტებსა და აბიტურიენტებმა არ უნდა ჩათვალონ, რომ ამ პროგრამის დასრულების შემდეგ ისინი თანაბარი წარმატებით შეძლებენ, როგორც ჟურნალისტობას, ისე მედია მკვლევარობას და საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტობას. პროგრამის სტრუქტურის სიცხადისთვის ასევე მიზანშეწონიად გვეჩენება პროგრამის მოდულებად დაყოფა, როგორიცაა, მაგალითად, სტრატეგიული კომუნიკაცია, ჟურნალისტიკა, მედია კვლევები. მოდულები საშუალებას მისცემს სტუდენტს უკეთ დაგეგმოს თავისი მომავალი პროფესია და ამასთანავე, მეტად უზრუნველყოფს არჩევითობას.
- პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას, როგორც ცალკეული სასწავლო კურსებითა და მათში ჩაშენებული პრაქტიკული მეცადინეობების მეშვეობით, ისე დამოუკიდებელი კურსის - სასწავლო პრაქტიკა - მეშვეობით. პროგრამას თან ახლავს პრაქტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციებთან დადებული მემორანდუმები (დეტალებისთვის იხ. კომპონენტი 2.4), პრაქტიკის სილაბუსი და „პრაქტიკული კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების წესი“.

- საგანმანათლებლო პროგრამა, აგრეთვე ითვალისწინებს საბაკალავრო ნაშრომის (10 კრედიტი) შესრულებას. პროგრამას თან ახლავს „საბაკალავრო ნაშრომის ინსტრუქცია“, რომელიც განსაზღვრავს საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობის სფეციფიკას, როგორიცაა ხელმძღვანელის შერჩევა, ხელმძღვანელის მოვალეობები, საბაკალავრო ნაშრომის სტრუქტურა და აკადემიურ სტილი, საბაკალავრო ნაშრომის წარდგენა, დაცვის პროცედურები, დაცვის კომისიის დაკომპლექტება და ა.შ.
- სტუდენტებისათვის აკადემიური თავსუფლების უკეთ უზრუნვესაყოფად, შესაცვლელია საბალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის შერჩევის წესი. მიზანშეწონილია, სასწავლო უნივერსიტეტმა გამოაქვეყნოს არა ძირითადი სათაურებისა და პოტენციული ხელმძღვანელების სია, არამედ აკადემიური პერსონალის კვლევის პრიორიტეტები და ძირითადი მიმართულებები, რათა სტუდენტმა უკეთ შეძლოს არჩევანის გაკეთება.
- ვინაიდან საგანმანათლებლო პროგრამს თან არ ახლავს საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსი, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა ვერ შეიქმნა წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რა კრიტერიუმებით ფასდება ნაშრომი, რა სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს და ა.შ. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა დამატებით მოითხოვა ეს დოკუმენტი, თუმცა უსდ-მ მომიჯნავე პროგრამის საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსი მოგვაწოდა.
- დასახვეწია, აგრეთვე, სილაბუსებში შემავალი ლიტერატურა, რათა სწავლება გახდეს ბაკალავრიატის დონის ადეკვატური და დაეყრდნოს დარგის თანამედროვე მიღწევებს. დეტალებისათვის იხ. სტანდარტი 2.3.
- საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს არჩევითობას ორ კომპონენტში:
  - ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები
  - თავისუფალი კომპონენტი
- აქვე უნდა აღნიშნოს, რომ თავისუფალი კომპონენტის ფარგლებში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს მიეწოდა მხოლოდ 2 სასწავლო კურსის სილაბუსი (ჯამში 9 კრედიტი), მაშინ როდესაც ეს კომპონენტი ითვალისწინებს 20 კრედიტს სასწავლო გეგმაში და 24 კრედიტს საგანმანათლებლო პროგრამაში. შესაბამისად, გაუგებარი რჩება როგორ უნდა დააგროვოს სტუდენტმა ამ კომპონენტისათვის საჭირო კრედიტები. თუ სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა აირჩიოს სასწავლო უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული ნებისმიერი სასწავლო კურსი, მაშინ ამ სასწავლო კურსების ჩამონათვალი თან უნდა ახლდეს საგანმანათლებლო პროგრამას. ამასთანავე, მიზანშეწონილია არჩევითი კურსების შეთავაზება მოხდეს

უფრო მოქნილი ფორმატით, სადაც სემესტრის განმავლობაში საერთო საუნივერსიტეტო ბაზიდან შეთავაზებული იქნება რამდენიმე კურსი, რათა ინსტიტუციას არ შეექმნეს ჯგუფების დაკომპლეტების პრობლემა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ საგანმანათლებლო პროგრამა ○ სასწავლო კურსების სილაბუსები ○ სასწავლო გეგმა ○ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურები ○ პრაქტიკული კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების წესი ○ საბაკალავრო ნაშრომის ინსტრუქცია ○ გასაუბრებები აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამის სხვადასხვა დოკუმენტებში მოცემული კრედიტების გადანაწილება მოვიდეს ერთმანეთთან თანხვედრაში; • რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული კურსები უკეთ მოერგოს მისანიჭებელი კვალიფიკაციის სპეციფიკას; • სტუდენტებისთვის მეტი აკადემიური თავისუფლების უზრუნველსაყოფად, რეკომენდირებულია შეიცვალოს საბაკალავრო თემისა და ხელმძღვანელის შერჩევის წესი; • რეკომენდებულია შეიქნას ამ პროგრამისათვის საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსი, რომელიც განსაზღვრავს სწავლის შედეგებს, შეფასების კრიტერიუმებს და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს, რაც არ განისაზღვრება საბაკალავრო ნაშრომის ინსტრუქციით; • რეკომენდებულია, პროგრამას დაემატოს სასწავლო კურსები თავისუფალ კომპონენტში, რათა უზრუნველყოფილი იყოს არჩევითობა და არჩევითი კურსების შეთავაზება მოხდეს უფრო მოქნილი ფორმატით
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია პროგრამა დაიყოს მოდულებად, რათა უკეთ იქნეს უზრუნველყოფილი არჩევითობის პრინციპი და სიცხადე პროგრამის სტრუქტურაში
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული სასწავლო კურსები მოიცავენ მასობრივი კომუნიკაციის სფეროს ძირითად საკითხებს და უზრუნველყოფენ სტუდენტთა ცოდნისა და პროფესიული უნარების დაუფლებას მასობრივი კომუნიკაციის სხვადასხვა მიმართულებით. ამასთანავე, სასწავლო კურსების ერთმანეთთან ბმის დანახვა ჭირს, რაც ხელს უშლის პროგრამის ერთიანობაში აღქმას. სასწავლო კურსების ანალიზმა აჩვენა, რომ სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების და საკონტაქტო საათების რაოდენობა შეესაბამება სასწავლო კურსების შინაარსსა და სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსების შეფასებამ გამოკვეთა რეკომენდაციების და რჩევების აუცილებლობა:
- უმრავლეს სასწავლო კურსებში, იქ სადაც სტუდენტი წარადგენს პრაქტიკულ ნაშრომს, სწავლის შედეგებში არ არის ასახული პასუხისმგებლობა და ავტონომიურობის კომპეტენცია. ასეთი სასწავლო კურსებია: "ფოტოჟურნალისტიკა"; "მეტყველება", "აუდიო-ვიზუალური აღქმის საფუძვლები";

"კრეატიული კომუნიკაცია"; "საჯარო გამოსვლის ხელოვნება"; "მულტიმედია ტექნოლოგიები"; "ამბის თხრობის ხელოვნება"; "კინოდოკუმენტალისტიკა"; სოც. კვლევის მეთოდები"; "ციფრული მედია და კომუნიკაცია"; "მედიაპროდიუსინგი"; "სოც.მედია მარკეტინგი"; "მედიის კვლევის მეთოდები"; "ეკონომიკის საკითხები გაშუქება".

- პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით სტუდენტები პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს ივითარებენ სხვადასხვა დარგში - ბეჭდურ, სამაუწყებლო, ონლაინ მედიაში. პრაქტიკული პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება კონკრეტული კურსების ფარგლებში ხდება და ლოგიკური გაგრძელებაა მოცემულ სემესტრამდე გავლილი თეორიული კურსებისა. მაგალითად, „ტელეჟურნალისტიკა“ და „რადიოჟურნალისტიკა“ აგრძელებს თეორიული - „შესავალი მასკომუნიკაციასა და ჟურნლისტიკაში “ და „ახალი ამბების ჟურნალისტიკა“ - კურსების ხაზს და წინა კურსებში მიღებული ცოდნის პრაქტიკულ გარემოში გადმოტანის საშუალებას აძლევს სტუდენტებს. თუმცა, შინაარსიდან გამომდინარე, ეს ორი კურსი უფრო მეტად თეორიული ცოდნის გაღრმავებაზეა ორიენტირებული, ვიდრე პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე. ეს მოცემულობა საჭიროს ხდის, დაკორექტირდეს აღნიშნული კურსების შედეგები, ან პირიქით, დაკორექტირდეს კურსის შინაარსი, სწავლა-სწავლების მეთოდები, დავალებების ტიპი და ფორმა, რომ შესაძლებელი იყოს იმ უნარებისა და პასუხისმგებლობების (სიუჟეტის, ნიუსის, რეპორტაჟის, თოქ–შოუს; მედიაპროექტის) მიღწევა, რაც კურსების სილაბუსებში გვხვდება.
- სავალდებულო სასწავლო კურსში "მულტიმედია ტექნოლოგიები", რომელიც ორიენტირებულია მულტიმედიური პროდუქტის შესრულებაზე, არც ერთი დავალება არ არის პრაქტიკული, პრაქტიკულ სამუშაოდ მითითებულია მიმდინარე თემის გარშემო დისკუსია და მაგალითების განხილვა - შეფასება; სასწავლო კურსი "მეტყველება" ძირითადად მიმართულია ფუნქციური სტილისტიკის, მართლწერისა და ენობრივი ნორმების საკითხების შესწავლაზე და არა უფრო მეტად მეტყველების ხარვეზების აღმოფხვრასა და გამართულად მეტყველების უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე.
- სასურველია, რომ არჩევით სასწავლო კურსში „საარჩევნო პროცესის საინფორმაციო უზრუნველყოფა“ საარჩევნო სისტემისა და პროცესის შესწავლის პარალელურად შესრულდეს არჩევნების გაშუქებასთან და საარჩევნო თემატიკასთან დაკავშირებული პრაქტიკული დავალებები.

- სასურველია, რომ სასწავლო კურსები, რომელთა შედეგებშიც მოიაზრება სტუდენტის პრაქტიკული უნარების განვითარება, შუალედური და დასკვნითი შეფასებების კომპონენტებში უმეტესწილად აქცენტი კეთდებოდეს პრაქტიკული დავალებებისა და პროექტების შესრულებაზე. ასე მაგალითად, კურსში "სპორტის ჟურნალისტიკა", დასკვნითი გამოცდა ტარდება წერილობითი ფორმით, სილაბუსში გათვალისწინებული მასალის გამოკითხვით; სასწავლო კურსში" მედიასთან ურთიერთობა" შუალედური და დასკვნითი გამოცდები მოიცავს: დახურულ და ღია კითხვებს, ესსეს. სასწავლო კურსში "კულტურის თემების გაშუქება მედიაში" შუალედური და დასკვნითი გამოცდები მოიცავს თეორიული საკითხებსა და ღია შეკითხვას, ტესტს; სასწავლო კურსში " ეკონომიკის საკითხების გაშუქება მედიაში" დასკვნითი გამოცდა მოიცავს 5 საკითხს (წერითი ფორმა, განვლილი მასალის გამოკითხვას).
- სასწავლო კურსით "მასკომუნიკაციის თეორიები" განაზღვრული შეფასება შეიცავს უზუსტობებს, პრეზენტაციის შეფასება ვერ მოხდება საბაკალავრო ნაშრომის შინაარსის მიხედვით. სასწავლო კურსში "კინოდოკუმენტალისტიკა", სილაბუსის მიხედვით სტუდენტი სემესტრის განმავლობაში ამზადებს 3 სცენარს, 2 -ს წერითი დაავალების ფარგლებში, ხოლო მესამეს წარადგენს დასკვნით გამოცდაზე. შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის გათვალისწინებით შესაძლებელია გაიზარდოს კურსის კრედიტის მოცულობა/ ან დაკორექტირდეს შესასრულებელი დავალებები/ შეფასების კომპონენტები, მათ შორის კოეფიციენტების გადანაწილებაც, ვინაიდან თეორიული საკითხი და სცენარის მომზადება ერთაირი ქულით (5 ქულა) ვერ შეფასდება.
- სტუდენტებს თითოეულ სილაბუსში განსაზღვრული აქვთ როგორც სავალდებულო, ისე დამატებით საკითხავი ლიტერატურა, თუმცა, ზოგ შემთხვევაში, სილაბუსში მითითებული რიდერი ვერ მოიძებნა ვერც ბიბლიოთეკაში და ვერც შემდგომ იქნა წარმოდგენილი. ასეთია სამაუწყებლო მედიის სასწავლო კურსები: "ტელეჟურნალისტიკა" და "რადიოჟურნალისტიკა". აქვე უნდა აღინიშნოს, რომ "მედია პროდიუსინგის" სავალდებულო სასწავლო კურსში მითითებული ძირითადი სასწავლო მასალა (სახელმძღვანელო, რიდერი) სრულად ვერ ფარავს კურსის შინაარსს - მედია პროდიუსინგის სპეციფიკის დაუფლებას და პროდუსერის როლის განსაზღვრას რადიო, ონლაინ და ბეჭდურ პროდაქშენში. ასევე, სასწავლო კურსში "ამბის თხრობის ხელოვნება" მითითებული ლექტორის მიერ მომზადებული პრეზენტაცია (ჰენდაუთი) ვერ იქნება საკმარისი კურსის შინაარსისა და შედეგების

მისაღწევად. სახელმძღვანელო "ჟურნალისტიკა" (ავტ. მარინე ვეკუა. ჟილ რუე. 2016) მეორდება სასწავლო კურსებში „ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის შესავალი", "ახალი ამბების ჟურნალისტიკა" (რიდერი) და "ბეჭდური მედია" (რიდერი), ლიტერატურის გადაფარვა ხდება ამ კურსებს შორის. ეს ნაწილობრივ ბუნებრივიცაა, რამდენადაც ქართულ ენაზე არსებული სახელმძღვანელოების არცთუ დიდი არჩევანია, თუმცა, შესაძლებელია სასწავლო მასალის გამრავალფეროვნება უკვე არსებულის საშუალებით, მაგ. სასწავლო კურსში "ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია" შესაძლებელია ლიტერატურის გამდიდრება ისეთი სახელმძღვანელოთი როგორიცაა "ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის შესავალი"(ავტ.: მ შამილიშვილი, მ. წერეთელი, სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებელებისთვის, თსუ, 2020); ○ სასწავლო კურსების უმეტესობაში არ არის დაზუსტებული, თუ რა სავალდებულო თუ დამატებით ლიტერატურა აქვს კონკრეტულად ლექციიდან ლექციამდე წასაკითხი სტუდენტს. სასურველია, რომ ეს საკითხი ყველა სილაბუსში ზედმიწევნით გაიწეროს. მაგალითისთვის ლექტორს სავალდებულო ლიტერატურაში მითითებული აქვს „რიდერი“, შემდეგ ლექციების ნაწილში ასევე უთითებს მხოლოდ „რიდერს“ და არა კონკრეტულ გვერდებსა თუ თავებს ამ რიდერებიდან. აქვე დავსძენთ, - სასურველია, რომ "მასკომუნიკაციის თეორიები" და "მულტიმედია ტექნოლოგიები" კურსების რიდერებში მითითებული იყოს, რომელი წყაროებით ხელმძღვანელობენ ლექტორები მათი შედგენისას ანუ რომელი სახელმძღვანელობის, წიგნებისა თუ სტატიების მიხედვით არის წასაკითხი სავალდებულო მასალა მომზადებული.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები; ○ უსდ-ს ბიბლიოთეკა https://library.alterbridge.edu.ge/book/2052 ○ ინტერვიუს შედეგები აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან.
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია კურსის შედეგების მიხედვით დაკორექტირდეს სასწავლო კურსები: "ტელეჟურნალისტიკა" და "რადიოჟურნალისტიკა". ასევე სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილი იყოს სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალების ხელმისაწვდომობა.

- რეკომენდებულია პროგრამაში მეტი აქცენტით იყოს წარმოდგენილი და შესაბამისად სწავლის შედეგებში ასახული პასუხისმგებლობა და ავტონომიურობის კომპეტენცია;
- რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსების: "მასკომუნიკაციის თეორიები" და "კინოდოკუმენტალისტიკა" შეფასების კომპონენტები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, საკითხავი ლიტერატურის გამრავალფეროვნება, რათა არ მოხდეს კურსებს შორის გადაფარვა;
- სასურველია, ისეთ სასწავლო კურსებში, რომელთა შედეგებშიც მოიაზრება სტუდენტის პრაქტიკული უნარების განვითარება, შუალედური და დასკვნითი შეფასებების კომპონენტებში უმეტესწილად აქცენტი კეთდებოდეს პრაქტიკული დავალებებისა და პროექტების შესრულებაზე.
- სასურველია, სასწავლო კურსში "მულტიმედია ტექნოლოგიები" გაჩნდეს პრაქტიკული კომპონენტი;
- სასურველია, არჩევით სასწავლო კურსში „საარჩევნო პროცესის საინფორმაციო უზრუნველყოფა“ თეორიული საკითხების პარალელურად პრაქტიკულ დონეზე ისწავლებოდეს არჩევნებისა და მასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება;
- სასურველია, სასწავლო კურსების სილაბუსებში სალექციო მასალებში სავალდებულოდ და დამატებით წასაკითხი მასალა მიეთითოს გვერდებისა ან თავების მიხედვით;
- სასურველია, სასწავლო კურსებში, იმ შემთხვევებში, სადაც ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე კომპეტენტური ავტორების მიერ მომზადებული სახელმძღვანელოები, მოხდეს მათი დანერგვა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ წარმოდგნილი პროგრამის მიხედვით პრაქტიკის კომპონენტი განსაზღვრულია სასწავლო კურსებში ჩაშენებული პრაქტიკითა და პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსით. სასწავლო უნივერისტეტში არსებული მედია-ცენტრი არის მცირე ზომის, არ აქვს სტუდიური სივრცე, სადაც სტუდენტები სრულფასოვნად შეძლებენ პროფესიულ-პრაქტიკული უნარების გამომუშავებას (ტელე-რადიო მიმართლებით). თუმცა, ამასთან დაკავშირებით ინტერვიუირებისას პროგრამის ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ პროგრამის აკრედიტაციის შემთხვევაში, „თუ საჭიროება მოითხოვს“, სტუდენტებს შეეძლებათ გააკეთონ კონკრეტული პროექტები პარტნიორ ორგანიზაციებში (ასეთად დასახელებული იყო მაგალითად "მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯი"). ამასთან, აღინიშნა ისიც, რომ მომავალში გეგმავენ რადიო-ცენტრის გაკეთებასაც. ○ უსდ--ს მიერ გაფორემებული აქვს მემურადუმები სხვადასხვა ორგანიზაციებთან: შპს "ეიჩარ ჰაბი"; შპს"ვუმენ ქლაბი"; შპს"მედჯგუფი"; ა(ა)იპ "არტრეა TV2.0"; შპს "პრაიმ სთადი"; ჟურნალი "ბიზნესპორტი"; "საქართელოს დამსაქმებელთა ასოციაცია"; "მოსწავლე- ახალგაზარდობის ეროვნული სასახლე"; "საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი"; "ფაბლისითიჯგუფი"; შპს “ანტრეპრენიორ საქართველო”; შპს “ჯორჯია თუდეი”; ა(ა)იპ საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია; შპს "კავკასიის საერთშორისო უნივერსიტეტი"; შპს" საინფორმაციო სააგენტო კომერსანტი", „საინფორმაციო სააგენტო კომერსასნტი“, „ტელეიმედი“. ურთიერთთანამშრომლობის დოკუმენტი აღწერს მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს, მათ შორის, სტუდენტების სავარაუდო რაოდენობას და პრაქტიკის ხანგრძლივობას.

- უსდ-ს შემუშავებული აქვს პრაქტიკული კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების წესი, რომელიც არეგულირებს პროფესიული პრაქტიკის დაგეგმვის, განხორციელების საკითხებს და შეფასების პროცედურებს. პროფესიული პრაქტიკის მიზანია, სტუდენტის მიერ უშუალოდ პრაქტიკის ობიექტის (საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების) საქმიანობის გაცნობა და პრაქტიკულიუნარ-ჩვევების გამომუშავება; სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიურ გარემოში მიღებული ცოდნის განმტკიცებისა და გაფართოების ხელშეწყობა; ახალი ცოდნისა და კომპეტენციების გამომუშავება; სტუდენტებში ძირითადი პროფესიული ამოცანების და მათი გადაწყვეტის გზების შესახებ ზუსტი წარმოდგენის შექმნა, პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბებისა და განვითარების საფუძველზე მომავალი პროფესიული საქმიანობისათვის მომზადება.
- პრაქტიკის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების განხორციელებისას სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს სასწავლო უნივერსიტეტის მხრიდან სასწავლო კურსის ხელმძღვანელი - ლექტორი და პრაქტიკის ადგილზე პრაქტიკის ხელმძღვანელი - ორგანიზაციის წარმომადგენელი.
- სტუდენტის საბაკალავრო ნაშრომი პროგრამის სავალდებლო კომპონენტია და გულისხმობს კვლევითი/პრაქტიკული ხასიათის პროექტის მომზადებასა და დაცვას; საბაკალავრო ნაშრომის ზედამხედველი შესაძლებელია იყოს ალტერბრიჯის აკადემიური ან მოწვეული პერსონალი.
- საბაკალავრო ნაშრომის ინსტრუქციაში არ არის ასახული პრაქტიკული ხასიათის პროექტის მახასიათებლები და შეფასების კრიტერიუმები. წინამდებარე პროგრამის ფარგლეში საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსი არ იქნა წარმოდგენილი, შესაბამისად ვერ მოხერხდა ამ თემაზე უფრო დეტალური ანალიზი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შესაბამისი ხელშეკრულებები/მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან;
- საბაკალავრო ნაშრომის ინსტრუქცია
- პრაქტიკული კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების წესი
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია დაკორექტირდეს საბაკალავრო ნაშრომის ინსტრუქციის წესი ისე, რომ სრულფასოვნად აისახოს როგორც კვლევითი, ისე პრაქტიკული ხასიათის პროექტის მომზადება და დაცვა

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში გამოიყენება შემდეგი სწავლა-სწავლების მეთოდები: სწავლება კეთებით (learning by doing); ახსნა-განმარტებითი მეთოდი; დისკუსია / დებატებში მონაწილეობა; გამოცდილებითი სწავლება; გონებრივი იერიში (Brain storming); დემონსტრირების მეთოდი; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება; წყვილში მუშაობა ქოუჩინგის პრინციპით; წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის მეთოდი; წერითი მუშაობის მეთოდი; შემთხვევის ანალიზი (Case study); ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი

მეთოდი; ჯგუფური (collaborative) მუშაობა; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL); როლური და სიტუაციური თამაშები. ○ სასწავლო კურსების სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.თუმცა მას შემდეგ რაც მოხდება პროგრამის კონცენტრირება დარგობრივი მოდულების გაძლიერებაზე, საჭირო იქნება სწავლა-სწავლების მეთოდების გადახედვაც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სასწავლო კურსების სილაბუსები ○ საგანმანათლებლო პროგრამა ○ თვითშეფასების ანგარიში
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტების მიღწევების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების და კანონმდებლობასთან შესაბამისად. შეფასების კრიტერიუმები წარმოდგენილია თითოეულ სილაბუსში, დეტალურია და გამჭვირვალე. შეფასების კრიტერიუმები ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, და შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი.
- პროგრამის აღწერილობიდან (რაც დასტურდება სილაბუსებით) გამომდინარეობს, რომ შუალედური და დასკვნითი შეფასებების გადანაწილების ხვედრითი წილებია 70/30, ან 60/40. ეს განაწილება განისაზღვრება კურსის ლექტორის მიერ კურსის საჭიროებიდან გამომდინარე. აქვე აღსანიშნავია, რომ დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს შუალედური შეფასებების მინიმალური ზღვარი, რომელიც შეადგენს შუალედური შეფასებისთვის განსაზღვრული ქულების ჯამის 30%-ს. ასევე დასკვნითი გამოცდის ჩაბარების მინიმალური ზღვარი, რომელიც წარმოდგენილია თითოეულ სილაბუსში, უმეტესწილად არ აღემატება 30%. შუალედური და დასკვნითი შეფასების განაწილების ორივე შემთხვევაში (70/30 და 60/40), მინიმალური შულადური და დასკვინითი შეფასების ჯამური ქულა შეადგენს 30-ს. აქედან გამომდინარე, სტუდენტი, შუალედური შეფასების მინიმალური შეფასებით და დასკვნითი გამოცდის მინიმალური შეფასებით ჩაბარების შემთხვევაში, ვერ ახერხებს დამატებით გამოცდაზე გასვლას, რადგან ჯამი არ აღემატება 30 ქულას. სასურველია, რომ მინიმალური შუალედური ან/და დასკვნითი შეფასების ზღვრები გადაიხედოს და სტუდენტებს ჰქონდეთ დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება, ფინალური გამოცდის მინიმალური ზღვრის გადალახვის შემთხვევაში.
- ინტერვიუს დროს დადგენილი იქნა, რომ სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილია შეფასების შედეგების გასაჩივრება. ასევე აღნიშნული იყო, რომ სტუდენტებს აქვთ საშუალება ინდივიდუალურად მიიღონ უკუკავშირი შეფასების შედეგებზე.

○ სტუდენტის შეფასების ფორმები სასწავლო კურსების მიხედვით არის მრავალფეროვანი და ითვალისწინებს სემინარებზე ზეპირ აქტივობას, პრეზენტაციას, პრაქტიკულ დავალებას და სხვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ მასკომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ○ სასწავლო კურსების სილაბუსები ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია საწავლო კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე გადაიხედოს და გაიზარდოს შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური ზღვრები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა			X	

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტები იღებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე სათანადო ინფორმაციას. ჩარიცხვის შემდეგ სტუდენტის ინფორმირებაზე ზრუნავს როგორც ადმინისტრაცია, ასევე პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი. ინფორმაცია აკადემიურ კალენდარზე საჯაროდ ხელმისაწვდომია სასწავლო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. ○ სტუდენტების ინტერვიურებისას აღნიშნული იყო მაღალი ინფორმირებულობა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებზე, ასევე გაცვლით პროგრამებზე. ○ სასწავლო უნივერსიტეტის სტუდნეტებისთვის ხელმისაწვდომია კონსულტაციები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, რაც ასევე დასტურდება ინტერვიუს დროს. ○ დაწესებულებაში დანერგილია სასწავლო პროცესის მართვის სისტემის ელექტრონული პროგრამა, სადაც სტუდენტებს საშუალება აქვთ თვალყური ადევნონ თავის შეფასებებს, ასევე ინფორმაცია მიიღოს სასწავლო და საგამოცდო ცხრილების შესახებ და სხვა.

○ ასევე ინტერვიუს დროს აღნიშნული იქნა, რომ სტუდენტები იღებენ დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ დაწესებულების ოფიციალური ვებ-გვერდი: https://alterbridge.edu.ge/academic-calendar/; ○ მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ არ შეფასდა, რადგან პროგრამა წარმოადგენს საბაკალავრო საფეხურის პროგრამას
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
○ მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილეობს 18 აკადემიური, 19 მოწვეული და 22 ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალი. მათ შორის 2 პროფესორი, 11 ასოცირებული პროფესორი და 5 ასისტენტ პროფესორი. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის, რომელიც უძღვება სასწავლო კურსებს, სოციალური მეცნიერებების დოქტორი - 4, მასობრივი კომუნიკაციის დოქტორი - 3, ფილოლოგიის დოქტორი - 3, საჯარო მმართველობის დოქტორი - 3, განათლების დოქტორი - 1, მენეჯმენტის დოქტორი - 2, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი - 1, ფილოსოფიის დოქტორი - 1, ჟურნალისტიკის დოქტორი -1, საზოგადოებრივ მეცნიერებათა დოქტორი - 1, თეოლოგიის მაგისტრი - 1, ორგანიზაციის განვითარების მაგისტრი - 1, ფილოსოფიის მაგისტრი - 1, ჟურნალისტიკის მაგისტრი - 4, ფსიქოლოგიის მაგისტრი - 2, ინჟინერიის მაგისტრი -

1, დრამატურგიის მაგისტრი - 1, ფილოლოგიის მაგისტრი - 3, სოციოლოგიის მაგისტრი - 1, საზოგადოებასთან ურთიერთობის მაგისტრი - 1, ფილოლოგიის ბაკალავრი - 1.

- პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობასთან. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა საკმარისია იმ რაოდენობის სტუდენტებისთვის, რომელთა მიღებასაც პროგრამა ითვალისწინებს. იგივე შეიძლება ითქვას ადმინისტრაციულ/დამხმარე პერსონალზე, რომლის რაოდენობა ასევე საკმარისია პროგრამის სრულყოფილად განხორციელებისთვის.
- აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებით, რომელთა რაოდენობა ბოლო 5 წლის განმავლობაში, 250-ია, მათ შორის 91 ადგილობრივ და 26 საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია. მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი ცოდნის, გამოცდილებისა და კომპეტენციის ქონით.
- საგანმანათლებლო პროგრამას გააჩნია აკადემიური და მოწვეული პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა, რომელიც მოიცავს სასწავლო და/ან სამეცნიერო-კვლევით და სხვა დატვირთვას მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობებიდან გამომდინარე (აღნიშნული სტანდარტის შეფასებისას გათვალისწინებულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვა ყველა იმ უსდ-ში, სადაც ის არის დასაქმებული). დატვირთვის სქემა რეალისტურია და პერსონალის კვალიფიკაციასა და კომპეტენციას შეესაბამება.
- საგანმანათლებლო პროგრამას ორი ხელმძღვანელი ჰყავს - მაკო ჯაოშვილი და თამთა ჯინჯოლავა. მაკო ჯაოშვილს აქვს მეცნიერებათა დოქტორთან გათანაბრებული ხარისხი სოციალურ მეცნიერებებში, თამთა ჯინჯოლავა კი ფლობს სოციალურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხს მასობრივ კომუკაციაში და გააჩნიათ საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში მუშაობის გამოცილება. ხელმძღვანელებს აქვთ პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გასაუბრება აკადემიურ, მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და სტუდენტებთან.
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები.

- სამუშაო აღწერილობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები.
- აკადემიური მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა.
- პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ უსდ-ს გააჩნია დოკუმენტი („აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი“), რომლის საფუძველზე ახორციელებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებას. შეფასება ხორციელდება პერიოდულად და მის საფუძველზე ყალიბდება რეკომენდაციები, რომელთა მეშვეობითაც ხდება რეაგირება ძლიერი მხარეების განსამტკიცებლად და სუსტი მხარეების გასაუმჯობესებლად. ○ უსდ-ს აკადემიური პერსონალის განვითარების პროცესი ორი - სამეცნიერო და პედაგორიური - მიმართულებით ხორციელდება. პირველი კომპონენტი მოიცავს სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებს; სამეცნიერო ჟურნალის „თანამედროვე მეცნიერების გამოწვევები“ გამოცემას და საერთაშორისო პარტნიორებთან ერთობლივი პროექტების განხორციელებას; მეორე კი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სასწავლო პროცესზე უშუალო დაკვირვებას. ამას გარდა, უსდ-ში დანერგილია კოლეგიალური შეფასება. ამ მიზნით უსდ საკმაოდ აქტიურად ატარებს სხვადასხვა სახის ტრენინგებს. ინტერვიუირებისას პერსონალმა განაცხადა, რომ აქტიურადაა ჩართული ამ პროცესში. ○ ამას გარდა, ვიზიტისას დადგინდა, რომ უსდ-ში დანერგილია პერსონალის წახალისების სისტემა (მაგ. პროფესორებს უფინანსდებათ კონფერენციებში მონაწილეობა და სხვადასხვა კვლევებისათვის საჭირო აქტივობები), ყოველწლიურად ტარდება პერსონალის კმაყოფილების კვლევა, რითაც მათ საშუალება ექნებათ, გამოხატონ საკუთარი მოსაზრებები სხვადასხვა საკითხთან მიმართებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ გასაუბრება აკადემიურ, მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და სტუდენტებთან. ○ პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგები და მათი გამოყენება პერსონალის მართვასა და განვითარებაში; ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების (ტრენინგები, კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები) დოკუმენტაცია; ○ საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ მასკომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტში ,,ალტერბრიჯი“, რომელიც არის საკმაოდ თანამედროვე და კარგად აღჭურვილი შენობა. შენობაში არის სასწავლო აუდიტორიები, აკადემიური პერსონალის სამუშაო ოთახები, კომპიუტერული ცენტრი, კაფეტერია, ბიბლიოთეკა და საკონფერენციო დარბაზი. ○ ეს უკანასკნელი მცირე ზომისაა, თუმცა სავსებით საკმარისია დასახული ფუნქციის შესასრულებლად. ამავე დროს მედია-ცენტრი, რომელიც ასევე მცირე ზომისაა,

ფუნქციურ ნაწილში მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს მცირე მოცულობის გამო. მაშინ როცა პროგრამაზე ჩასარიცხი სტუდენტების რაოდენობა 50-ია, ამ სივრცეს შეუძლია ერთდროულად მოემსახუროს 4 სტუდენტს, მაქსიმუმ 5-ს. ამასთან დაკავშირებით ინტერვიუირებისას პროგრამის ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ პარტნიორობენ კონკრეტულ მედია-საშუალებებთან, სადაც „თუ საჭიროება მოითხოვს", სტუდენტებს შეუძლიათ გააკეთონ კონკრეტული პროექტები. ამასთან, ამატებენ, რომ გეგმავენ რადიო-ცენტრის გაკეთებასაც.

- სასწავლო უნივერსიტეტში დანერგილია და ფუნქციონირებს ელექტრონული სასწავლო პლატფორმა ELMS, სადაც ხდება სასწავლო კურსების მიხედვით სასწავლო მასალების ატვირთვა, ყოველკვირეული დავალებების შესრულება და გასწორება.
- სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში წიგნადი ფონდი მწირია, თუმცა ბიბლიოთეკას გააჩნია ელექტრონული წიგნების მარაგი. ბიბლიოთეკა გასამდიდრებელია დარგისათვის მნიშვნელოვანი თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურით, რომელიც დააკმაყოფილებს საბაკალავრო სწავლების მოთხოვნებს.
- ინტერვიუირებისას სტუდენტებმა და პერსონალმა აღნიშნა, რომ ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უსდ-ის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება.
- ინფრასტრუქტურის, ტექნიკური აღჭურვილობის და წიგნადი ფონდის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
- ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ძირითად ლიტერატურასთან.
- საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტი.
- საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, მედია ცენტრი მოეწყოს სხვა, უფრო დიდ სივრცეში და აღიჭურვოს იმგვარად, რომ სტუდენტებმა რეალურად შეძლონ იმ პროფესიული-პრაქტიკული უნარების გამომუშავებას, რაც აუცილებლად დასჭირდებათ მედიაში დასაქმებისთვის;
- რეკომენდებულია სათანადოდ აღიჭურვოს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ პროგრამის ბიუჯეტი გათვლილია იმ დათქმაზე, რომ ყოველწლიურად ჩაირიცხება 50 სტუდენტი, რაც ნაკლებად რეალურია. სააკრედიტაციო ვიზიტისას, ამ გარემოების შესახებ პროგრამის მესვეურებმა განაცხადეს, რომ პროგამის ფინანსური მდგრადობისთვის საკმარისია მასში ყოველწლიურად 20 სტუდენტის ჩარიცხვა. ამას გარდა, აღნიშნავენ, რომ, გარდა სწავლის საფასურიდან მიღებული შემოსავლისა, პროგრამას აქვს ფინანსების შემოდინების სხვა წყაროები: უსდ-ს დამფუძნებლების მზაობა, დააფინანსონ პროგრამა; საკრედიტო ხაზი 3 მილიონი დოლარის

ოდენობით; და, სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული გრანტები, რისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია პროგრამას თან არ ახლავს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამის ბიუჯეტი ○ გასაუბრება პროგრამის და უსდ-ის ხელმძღვანელებთან.
რეკომენდაციები: • პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, რეკომედებულია ბიუჯეტი გაიწეროს რეალური შემოსავლების გათვალისწინებით
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		X		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ სასწავლო უნივერსიტეტში ინსტიტუციური განვითარების ფარგლებში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აწესრიგებს სწავლა-სწავლების, კვლევის, სერვისებისა და მართვის მიმართულებით პროცესებს, გეგმავს ცვლილებებსა და განსაზღვრავს შემდგომ აქტივობებს; ზრუნავს საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული პერსონალის თანამშრომლობაზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ძირითად აქტივობებში. თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მასალების შესწავლის, ისევე როგორც ინტერვიუების შემდგომ გამოიკვეთა შემდეგი სურათი: პროგრამის მომზადებაში აქტიური ჩართულობა ჯერ კიდევ რჩება საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ვიწრო წრეში, რაც გულისხმობს შემდეგს, რომ პროგრამაში ჩართული პერსონალი, მართალია, მონაწილეობას იღებს ცალკეულ აქტივობებში, მაგრამ ჯერ კიდევ სრულყოფილად ვერ ახერხებს სრულად შეიქმნან წარმოდგენა ხარისხის უზრუნველყოფის მოქმედების არეალში მიმდინარე პროცესების ცალკეულ დეტალებზე. ამის ნიმუშად უნდა დასახელდეს დოკუმენტი მასობრივი კომუნიკაციის ბენჩმარკინგი. წინამდებარე მასალის ანალიზიდან ჩანს, რომ ის არ არის მომზადებული დარგის მიერ, რასაც ადასტურებს დოკუმენტის საანალიზოდ შერჩეულ ობიექტების სიმწირე

და საანალიზო მასალის დასკვნითი ნაწილის არ არსებობა, რაც მიუთითებს მასზედ, რომ ანალიზი შედგა კონკრეტული არაეფექტური მეთოდოლოგიის საფუძველზე (იხ. საქაღალდე 1). ამას გარდა პორტფოლიოში შემავალ ცალკეულ დოკუმენტებში გამოყენებულია ცალკეული არამართებული ლექსიკა და ტერმინოლოგია, რაც აზრის გაბუნდოვნებას იწვევს (ეს ეხება ცალკეულ სასწავლო სილაბუსებს, მარეგულირებელ დოკუმენტებს).

- პროგრამის დაგეგმა დაწყებულია მართებულად, წარმოდგენილის ბაზრის კვლევის დოკუმენტი, თუმცა წინამდებარე ანალიზში დიდია წილი ზოგადი მსჯელობის, რიგ შემთხვევაში ჭირს მკვეთრად განსაზღვრა, რომ წინამდებარე ბაზრის კვლევა აქცენტირებულია მასკომუნიკაციის დასაქმების სფეროს კვლევაზე. შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტში (გვ.30) გაანალიზებულ და ინტერპრეტირებულს კვლევის შედეგების შეჯერების ნაწილში მოხსენიებულია: „[...] მიუხედავად უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების სიმრავლისა, დამსაქმებლებისთვის რთულია შესაბამისი კვალიფიკაციის ადამიანური რესურსის მოძიება [...]“, რაც ძნელად წარმოსადგენია ბაზარზე ამ პროფილით არსებული საგანმანათლებლო პროგრამების სიმრავლიდან და რიგ შემთხვევაში გამოცდილებიდან გამომდინარე. მსგავსი ინტერპრეტაცია კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმ ფაქტს, როდესაც ასეთი მოცულობის კვლევა მზადდება, პარალელურად სიღრმისეულად უნდა იქნას განხილული ბაზარზე არსებული პროგრამებისა და საერთაშორისო გამოცდილებების მონაცემები, რათა ანალიზის შედეგები არ იყოს შეცდომაში შემყვანი. ამავე რუბრიკაშია ჩანაწერი: „[...] ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ დამსაქმებლებს აქვთ წარმატებული თანამშრომლობის გამოცდილებაც გარკვეულ უნივერსიტეტებთან და მათ შორის უფრო გამოყოფენ კერძო უნივერსიტეტებს. თუმცა აღინიშნა, რომ იშვიათ შემთხვევებში, მათ შორის, მაგალითად, ბიზნესადმინისტრირების მიმართულებით, სახელმწიფო უნივერსიტეტებიც უზრუნველყოფენ საჭიროსთან მიახლოებული ცოდნისა და უნარების განვითარებას. [...]“ ანალიზის ამ დეტალში, სავარაუდოდ არასწორადაა არგუმენტად მოყვანილი ბიზნეს-ადმინისტრირების მიმართულება, ალბათ, დასკვნისთვის უნდა გამონახულიყო, მას-კომუნიკაციის დარგთან უფრო ახლო მაგალითი.
- ხარისხის სამოქმედო დოკუმენტებში დაწესებულია საკმაოდ მაღალი მოთხოვნა პროგრამის განხორციელების მიზნით, რაც, უდავოდ, მისასალმებელი ფაქტია, მაგრამ სასურველია, რომ მისი გაზიარება მოხდეს უსდ-ს ყველა ერთეულსა და რგოლში.

- ხარისხის საუნივერსიტეტო სისტემის მოქმედება ეფუძნება ციკლურ პროცესს, რომელიც მოიცავს ოთხ ძირითად ურთიერთდაკავშირებულ ელემენტს: დაგეგმვა (Planning), განხორციელება (Doing), შეფასება (Checking), განვითარება (Acting) (PDCA). ამასთან ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარებისათვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დებულებებით და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტებით. მის მიერ გაზიარებულია ასევე ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და რეკომენდაციები (ESG) ხარისხის უზრუნველყოფისთვის.
- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ყველა იმ მხარდამჭერ ღონისძიების ამსახველ დოკუმენტს, რაც გამიზნული იყო უსდ-ს აკადემიური პერსონალის განვითარებაზე, რაც განხორციელდა დისტანციური ინოვაციური ცენტრის ბაზაზე, მათ შორის უნდა დასახელდეს:
    - „სწავლების აქტიური მეთოდების გამოყენება ონლაინ სწავლების დროს“;
    - „როგორ მოვამზადოთ საგანმანათლებლო პროგრამები აკრედიტაციისთვის“;
    - „კვლევის სწორად დაგეგმვა და განხორციელება“;
    - „აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკა.
- წარმოდგენილმა მასალებმა და ინტერვიუებმა აჩვენა, რომ სასურველია კიდევ უფრო დეტალური თემების მიხედვით განხორციელდეს სწავლება სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისთვის, ვინაიდან დაწესებულება, მიუხედავად მასში დასაქმებულ ცალკეულ აკადემიურ და ადმინისტრაციულ პირთა გამოცდილებისა, ჯერ კიდევ ახალია საგანმანათლებლო ბაზარზე, როგორც სასწავლო დაწესებულება.
- პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანამშრომლობა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, რასაც უნდა ჰქონდეს პერმანენტული/უწყვეტი ხასიათი გამომდინარე იქიდან, რომ საგანმანათლებლო სივრცეში კონკრეტული პროცესები ძალიან სწრაფად იცვლება და ვითარდება, უწინარესად გულისხმობს, როგორც პროგრამის განმახორციელებელი პირებთან აქტიურ თანამშრომლობას, ერთ მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ, კი აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის მუდმივ გადამზადებას. წინამდებარე პროცესების განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეიძლება შეასრულოს ინტერნაციონალიზაციის პროცესებმა (სხვადასხვა ტიპის

ინსტიტუტთაშორისი გაცვლითი თანამშრომლობით, სემინარებითა და ვორკშოფებით, რომლებიც დაიგეგმება არამხოლოდ დარგისა და განათლების ქართველი, არამედ უცხოელი ექსპერტების ჩართულობით).

- ინტერვიუების პროცესში ექსპერტთა ჯგუფს საშულება მიეცა ემუშავა თვითშეფასების ჯგუფთან, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: რექტორის მოადგილე აკადემიური განვითარების მიმართულებით (ჯგუფის ხელმძღვანელი), ვიცე-რექტორი სტრატეგიული განვითარების მიმართულებით, კანცლერი, პროგრამის ხელმძღვანელები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, სტრატეგიული კომუნიკაციისა და მართვის სკოლის დეკანი, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი, მარკეტინგის სამსახურის ხელმძღვანელი, იურიდიული სამსახურის უფროსი, აბიტურიენტთა და სტუდენტთა მომსახურების სამსახურის ხელმძღვანელი, ფინანსური სამსახურის ხელმძღვანელი (იხ. გვ. 8). მართალია, ჯგუფი ინტენსიურად მუშაობდა თვითშეფასების პროცესებზე, მაინც გამოჩნდა თვითშეფასების დოკუმენტის სუსტ მხარედ წინამდებარე დოკუმენტში კონკრეტიკისა და არგუმენტირების სიმწირე, რაც ამ პირობებში მოსალოდნელიც იყო, ვინაიდან თვითშეფასების პროცესს დააკლდა საკუთრივ აკადემიური და მოწვეული პერსონალის (მხოლოდ პროგრამის ხელმძღვანელების თანამშრომლობა მოცემულ პროცესში არ არის მკმარი, რაც კიდეც დაგვანახვა მოცემულმა დოკუმენტმა!), ისევე როგორც სტუდენტისა და დამსაქმებლის ხედვა. აქედან გამომდინარე, თვითშეფასების დოკუმენტში სუსტია როგორც ანალიზური, ისე არგუმენტირებული ნაწილი დესკრიფციულ ნარატივში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნების ანალიზის დოკუმენტი;
- მასობრივი კომუნიკაციის ბენჩმარკინგი;
- ხარისხის გამოკითხვის ანალიზი;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის მართვის სამსახურის კვლევების შედეგები;
- ვიზიტის პროცესში წარმართული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის პროცესში ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ერთად ჩართული იყოს უშუალოდ პროგრამის განმახორციელებელი და დაინტერესებული პირები (ვინც მომავალში უშუალოდ იქნება პროგრამის განხორციელების პროცესებში ჩართული), რომელთა ანალიზს დაეფუძნება საგანმანათლებლო პროგრამის როგორც ანგარიშის დესკრიფციული ნარატივი და მისი არგუმენტაციული ნაწილი, ისე ძლიერი, გასაუმჯობესებელი მხარეები და გაუმჯობესებაზე ორიენტირებული აქტივობები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- აქტიურად მომზადდეს და დაიგეგმოს ტრეინინგები სხვადასხვა მიმართულებით აკადემიური და მოწვეული, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისთვის ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით აქტუალური თემებისა და საკითხების გაზიარების, ხარისხის კულტურის გაძლიერების მიზნით როგორც განათლების ქართველი, ისე უცხოელი ექსპერტების ჩართულობით;
- სასურველია კვლევების ანალიზის დოკუმენტს გარდა ვიზუალური მონაცემების, რჩევებისა და რეკომენდაციის რუბრიკის წარმოდგენისა დაერთოს ცალკეული თემის ანალიზური ნაწილიც.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ საგანმანათლებლო პროგრამისათვის აქტუალური და მნიშვნელოვანია ხარისხის გარე შეფასება, რაც რამდენიმე ფაზაში გამოიხატება. ცალსახად არსებითია შეფასება, რომელიც ხორციელდება სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ავტორიზაციის ან აკრედიტაციის პროცესში. წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა ახალია და შესაბამისად, მას არ გაუვლია ზემოხსენებული შეფასების ფაზები. თუმცა უსდ-ს ამავე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებაში აკრედიტაციის საბჭოს ექსპერტთა დასკვნის საფუძველზე ჰქონდა კონკრეტული რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება მნიშვნელოვანი იქნებოდა წინამდებარე პროგრამის მომზადების პროცესში. ○ სასწავლო უნივერსიტეტმა მოცემული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებამდე მიმართა დამსაქმებლებსა და დარგის ექსპერტს გარე შეფასების მიზნით. როგორც წარმოდგენილმა დოკუმენტებმა აჩვენა დამსაქმებლების ჯგუფი მოცემულ პროგრამას ჰყავს, მაგრამ სასურველია მისი ფოკუსირება დარგზე და პერმანენტული ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასების პროცესში. ○ ექსპერტთა ჯგუფს მიეწოდა გარე შეფასების დოკუმენტი, რომელიც შესრულებული იყო ქართველი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) ექსპერტის მიერ. გამოხმაურება არის ზოგადი ხასიათის პროგრამის დახასიათება და ნაკლებად დეტალებზე ორიენტირებული. გაცემულია რჩევები, რაც სასურველი იყო, რომ გაზიარებულიყო პროგრამის განმახორციელებელთა მხრიდან. ○ დარგის ექსპერტებს პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის ნიშანდობლივად არსებითად მიაჩნიათ, ინსტიტუციაში მომზადებული საგანმანათლებლო პროგრამების სრული პაკეტის წარდგენა გარე ექსპერტირების, ინტერნაციონალიზაციისა და სრულყოფის მიზნით ქვეყნის ფარგლებში მსგავსი გამოცდილების მქონე აკადემიურ სივრცეში, ან უცხოეთში, საუკეთესო პრაქტიკის გასაზიარებლად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;

- ხარისხის გამოკითხვის ანალიზი;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის მართვის სამსახურის კვლევების შედეგები;
- გამოხმაურება;
- ვიზიტის პროცესში წარმართული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, წარდგენილ იქნას ინსტიტუციაში მომზადებული საგანმანათლებლო პროგრამების სრული პაკეტის გარე ექსპერტირების, ინტერნაციონალიზაციისა და სრულყოფის მიზნით ქვეყნის ფარგლებში მსგავსი გამოცდილების მქონე აკადემიურ სივრცეში, ან უცხოეთში, საუკეთესო პრაქტიკის გასაზიარებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია დამსაქმებელთა ჯგუფის ფოკუსირება დარგზე და მათი პერმანენტული ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასების პროცესში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ საგანმანათლებლო პროგრამა დროთა განმავლობაში განიცდის ცვლილებებს, რაც უკავშირდება: დარგში ცვლილებას, სიახლეებს დარგობრივ კვლევებში, ახალ გამოწვევებს განათლების სისტემაში, საკანონმდებლო ცვლილებებს. ამდენად, საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებული სიახლეები სამუშაო პროცესში გარკვეულწილად დაკვირვებისა და შეფასების ობიექტი უნდა გახდეს, რაც პერიოდულად კონკრეტული მეთოდოლოგიით უნდა წარიმართოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. ○ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცესი კომპლექსურ ხედვას მოითხოვს, მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდეს მონიტორინგის პროცესის კონკრეტული მეთოდოლოგია, პროცედურები და გაწერილი პროცესები, რომელიც კონკრეტულად საგანმანათლებლო პროგრამაზე იქნება ფოკუსირებული, მის განვითარებასა და გაუმჯობესებაზე. ○ ხარისხის სამსახურის მიერ მოწოდებულ რეგულაციებში, კონკრეტულად კი ხარისხის სამსახურის დებულებაში ხაზგასმულია, რომ ხარისხის სამსახური პერიოდულად ინსტიტუციის ფარგლებში სხვადასხვა მიმართულებით საკუთარ თავზე იღებს ცალკეული პროცესებისა და პროცედურების მონიტორინგს. ექსპერტთა ჯგუფი წინამდებარე დოკუმენტების გაცნობის შემდეგ არსებითად მიიჩნევს მონიტორინგის მეთოდოლოგიის შემუშავებას საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისათვის და გასცემს რეკომენდაციას, რაც ხელს შეუწყობს შემდგომში საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფასა და დაახლოებას დარგში მიღებულ სტანდარტებთან. ○ უმაღლეს სასწავლებელში პერიოდული შეფასება, რა თქმა უნდა, ხორციელდება, რომელშიც მონაწილეობას იღებენ ძირითადში ინსტიტუციის ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლები, თუმცა სასურველია ამ პროცესების მონაწილე გახდეს ასევე პროგრამის განხორციელებით დაინტერესებული ყველა პირი. პროგრამა იყენებს განმავითარებელ კოლეგიალურ შეფასებასაც და სხვა არაერთ აქტივობას. მაგრამ საკუთრივ შეფასების პროცესი ისედაც შიდა ხარისხის შეფასების ყოველდღიურობაა. საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი კი, რომელიც

კონკრეტული გაწერილი მეთოდოლოგიითაა შემუშავებული, საშუალებას მისცემს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ანალიზის საფუძველზე დაადგინოს როგორც პროგრამის წარმატებული, ისე სუსტი მხარეები და მიზანმიმართულად გათვალოს საგანმანათლებლო პროგრამის გაუმჯობესება და ახალი განვითარების პროცესები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული კითხვარები; ○ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები; ○ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია; ○ ვიზიტის პროცესში წარმართული ინტერვიუები.
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია უსდ-ს შემუშავებული ჰქონდეს მონიტორინგის პროცესის კონკრეტული მეთოდოლოგია, პროცედურები და გაწერილი პროცესები, რათა მიზანმიმართულად განხორციელდეს საგანმანათლებლო პროგრამის გაუმჯობესება და ჩამოყალიბდეს განვითარების ახალი პროცესები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		X		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი „ალტერბრიჯი“

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

მასობრივი კომუნიკაცია, ბაკალავრიატი

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 52

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა			X	

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		X		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		X		

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ნატალია თვალჭრელიძე

ხელმოწერა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ნინო შოშიტაშვილი

ხელმოწერა

ნინო ქიმერიძე

ხელმოწერა

ლანა ბოკუჩავა

ხელმოწერა



მალხაზ გაგუა

ხელმოწერა